UNKNOWN INSCRIPTIONS OF THE CHURCH OF THE MOTHER OF GOD IN KLDEISI

კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის უცნობი წარწერები

TAMAZ GOGOLADZE
Doctor of History
Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
M. Aleksidze #1/3 Tbilisi, Georgia
Associate Professor of Caucasus Universitet
P. Saakadze #1, Tbilisi, Georgia
ORCID: 0000-0001-8501-1558
tagogoladze@cu.edu.ge
+995 555070106

Abstract
The Church of the Mother of God of Kldeisi located in the historical area of Kvemo Kartli is one of the excellent examples of Georgian architecture. In 2019-2021, the ruined church was restored with the financial support of the "Kartu" Foundation and under the organization of the National Agency for the Protection of Cultural Heritage of Georgia, according with unknown lapidary inscriptions were discovered. The unknown inscriptions of Kldeisi enrich our knowledge not only in terms of the Church of the Mother of God in Kldeisi, but also provide us with the most valuable information about the Liparit V Baguashi's (Eristavt Eristavi of Trialeti) construction activities in the late 80s and first half of the 90s of the 11th century, during the reign of David IV the builder (1089-1125), the king of united Georgia. The inscriptions provide unknown episodes about his battle against the Seljuk Turks and his possession of the title of King of Aran. In Georgian epigraphy, one of the still unknown inscriptions of the Church of the Mother of God of Kldeisi (AD.1092-1094/1095 the inscription of Liparit V Baguashi Eristavt Eristavi of Trialeti and King of Aran,) has so far been presented as the only written monument where the term "Turks" is mentioned. This is another unknown passage in the military-political relations between Georgia and the Seljuk Empire.

Keywords: Epigraphy; Inscription; Kvemo Kartli; Liparit V Baghvashi; King of Rani; „Seljuk“;

თამაზ გოგოლაძე
ისტორიის დოქტორი
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი, მ. ალექსიძის #1/3.
კავკასიის უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
საქართველო, თბილისი, პ. სააკაძის #1
ORCID: 0000-0001-8501-1558
tagogoladze@cu.edu.ge
+995 555070106

აბსტრაქტი

კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესია ქვემო ქართლის ისტორიულ მხარეში მდებარეობს და ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. 2019-2021 წლებში ფონდ „ქართუს“ დაფინანსებითა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით კლდეისის ღმრთისმშობლის დანგრეულ ეკლესიას ჩაუტარდა აღდგენითი-სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა დღემდე უცნობი ლაპიდარული წარწერები. კლდეისის უცნობი წარწერები ამდიდრებს ჩვენს ცოდნას არა მარტო კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის შესახებ, არამედ გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს XI საუკუნის 80-ინი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების პირველი ნახევარში, ერთიანი საქართველოს მეფის, დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მეფობის დროს თრიალეთის ერისთავთ ერისთავის ლიპარიტ V ბაღვაშის სააღმშენებლო საქმიანობის, მის მიერ წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთ უცნობი ეპიზოდის შესახებ თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და მის მიერ რანთა მეფის ტიტულის ფლობას. ქართული ეპიგრაფიკაში კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის დღემდე უცნობი ერთ-ერთი წარწერა (1092-1094/1095 წწ. თრიალეთის ერისთავთ ერისთავისა და რანთა მეფის, ლიპარიტ V ბაღვაშის სააღმშენებლო წარწერა) ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ წერილობით ძეგლს წარმოადგეს, რომელშიც ტერმინი „თურქნი“ იხსენიება. ეს კი გახლავთ კიდევ ერთი უცნობი ფურცელი საქართველოსა და თურქ-სელჩუკთა იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებში.

საკვანძო სიტყვები: ეპიგრაფიკა; წარწერა; ქვემო ქართლი; ლიპარიტ V ბაღვაში; რანთა მეფე; თურქნი.

შესავალი

კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის უცნობი წარწერები თავისი შინაარსის, გრაფემების მოხაზულობისა და მხატვრული გაფორმების მიხედვით ქართული დამწერლობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ჩვენთვის საინტერესო წარწერები გვაწვდის უძვირფასეს ცნობებს X-XI საუკუნეების საქართველოს სოციალური, ადმინისტრაციული და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები დეტალურად ასახავს ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებას.

ჩვენი კვლევის მიზანია ქვემო ქართლში მდებარე კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის დღემდე უცნობი წარწერების ტექსტების დაზუსტება და ამის საფუძველზე, ხუროთმოძღვრული ძეგლის ისტორიის ინფორმაციული თვალსაზრისით გამდიდრება.

მეთოდები

კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის სააღმშენებლო წარწერის კვლევა ემყარება პალეოგრაფიული, შედარებითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს.

მსჯელობა და შედეგები

სოფელი კლდეისი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ბედენის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ხრამის მარცხენა შენაკადის, მდინარე კლდეისის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 1380 მეტრზე მდებარეობს. სოფლის ცენტრში აღმართულია X-XI საუკუნეების სამნავიანი ეკლესია (სურ.1) [ზაქარაია, 1978: 525]. ტაძრის თავდაპირველი მშენებელობა დაკავშირებულია ტბელთა ფეოდალურ სახლის არისტოკრატიულ ოჯახთან, უფრო კონკრეტულად, X საუკუნის II ნახევარში მოღვაწე იოვანე ერისთავთ ერისთავთან და მის ვაჟებთან, სპანდაღუდ და ქავთარ ტბელების სახელებთან, რასაც მოწმობს ეკლესიის სამხრეთის კარის თავსა, თაღზე და ბალავრის ქვაზე შესრულებული ასომთავრული ლაპიდარული წარწერები [ალექსიძე, 2011: 46-49; ალექსიძე, 2016: 143-145].

I წარწერის პუბლიკაცია

2023 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაფინანსებით გამოვეცით საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის - ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსის მეორე შევსებული გამოცემა, რომელიც დღევანდელი თეთრიწყაროს, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების 350-მდე ლაპიდარულ წარწერას მოიცავს, მათ შორისაა, კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ლაპიდარული წარწერები. აღნიშნულ ნაშრომს ვასრულებთ შემდეგი სიტყვებით: „გარდა წინამდებარე კორპუსულ გამოცემაში მოყვანილი წარწერებისა, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ქვემო ქართლში მომავალში არქეოლოგიური გათხრებისა თუ სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად აღმოჩნდება მთელი რიგი წარწერები, რომელიც საქართველოს ისტორიის არაერთ უცნობ ფაქტსა და მოვლენას მოჰფენს ნათელს“ [გოგოლაძე, 2023: 479].

ამ სტრიქონების მართებულობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით 2023 წლის 24 სექტემბერს, როდესაც ჩემს მეგობრებთან ერთად (გიორგი გიორგობიანი, ზაალ გიორგობიანი, გიორგი ლომსაძე, ირაკლი ფაღავა, რევაზ ხაჩიძე, მამუკა ხვედელიძე) კიდევ ერთხელ მოვინახულეთ კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესია, რომლის დათვალიერებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო სამხრეთ მინაშენის თავზე ჩასმულმა ნაცრისფერ ქვაზე ამოკვეთილმა სამსტრიქონიანმა ასომთავრულმა წარწერამ (სურ. 2), ეკლესიის დასავლეთ ფასადზე ამოღარულმა სავედრებელმა წარწერამ (სურ. 3) და ასევე ამავე შესასვლელთან მდებარე წარწერის ფრაგმენტმა (სურ. 4). ადგილობრივებთან საუბრისას გაირკვა, რომ ეს წარწერები 2021 წელს ტაძრის აღდგენითი სამუშაოების შედეგად სამხრეთ მინაშენში ქვების გროვაში გამოვლინდა.

პირველ რიგში, წავიკითხეთ წარწერის ტექსტები, გადმოვიღეთ წარწერის პალეოგრაფიული პირები და გადავიღეთ მათი მაღალი გარჩევადობის ფოტოები. ამ დროისათვის ზემოხსენებული კორპუსული გამოცემა ჩაშვებული იყო სტამბაში დასაბეჭდად და წინამდებარე წიგნში მათი მოხვედრა ყოვლად შეუძლებელი იყო.

პირველ რიგში, გთავაზობთ წარწერების არქეოგრაფიულ აღწერილობებს, პალეოგრაფიულ პირებს, გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით და მათ ჩვენეულ წაკითვებს:

1092-1094/1095 წწ. თრიალეთის ერისთავთ ერისთავისა და რანთა მეფის, ლიპარიტ V ბაღვაშის სააღმშენებლო წარწერა

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთი მინაშენის თავზე ჩასმულ ნაცრისფერ ქვაზე, მიწის დონიდან 200 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომები: 22 X 195 სმ.; წარწერის ფართობი: 21 X 192 სმ.; 3 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: ⵓ (III სტრიქონის XIII გრაფემა) – 6 X 2 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: ⵔ (III სტრიქონის XI გრაფემა) – 3,5 X 2 სმ.; ქარაგმის ნიშნები: გრძელი ან მოკლე განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.

დაზიანება: წარწერა ადგილ-ადგილ ამოტეხილია, რის გამოც მთელი რიგი გრაფემები ფრაგმენტულად იკითხება. აქედან გამომდინარე, დაზიანებული ადგილები აღდგენილი გვაქვს შემორჩენილი გრაფემებისა და წარწერის კონტექსტის მიხედვით.



1. ⵏⵉ᾽ⵜⵅ ⵂ᾽ⵔ ⵅⵗⵉ᾽ⵟⵅⵔ ⵒ᾽ⵔ ⵂ᾽ⵔⵅⵖⵟ᾽ⵜⵅⵔ ⵒ᾽ⵔ ⵔⵅ᾽ⵏ ⵗⵓⵜⵗⵏⵗⵏⵔ ⵏⵔⵃⵓⵓⵜ ⵓⵔⵓⵜ ⵗⵗ
2. ⵅⵔⵏ ⵓⵅ᾽ⵔ ⵇⵓⵏ ⵖ᾽ⵗ ⵜⵓⵉ ⵓⵔⵓⵓ ⵗⵅ᾽ⵔ ⵇⵓⵏ ⵖ᾽ⵗ ⵜ᾽ⵜ ⵗⵅ᾽ⵉ ⵗⵗ ⵗⵅ᾽ⵏ
3. ⵃ᾽ⵗⵓ ⵓⵇ᾽ⵜⵗ ⵓⵖ᾽ⵔⵔ ⵏⵓⵇ᾽ⵓⵏ ⵅⵗⵉ ⵗⵗⵓⵅ ⵒ᾽ⵇ ⵗⵓ᾽ⵇ᾽ ⵅⵜ᾽ⵗⵏ ⵅⵓ᾽ⵏ

„ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ(ა) ღ(მრთისაჲთ)ა, მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ღ(მრთის)ამშ(ო)ბ(ე)ლ(ისაჲ)თა წ(მიდის)ა ამ(ი)ს ეკლესი{ი}სა საძ{ი}რკ{უე}ლი დად{ებუ}ლი იყო | მას ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავი) ლ{ი}პ{არი}ტ რანთ მ{ე}ფე იყო. გ(ა)სრ(ულ)დ(ა) მ{ა}ს ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავ) ლ(ი)პ(არი)ტ, ე{რისთავთ} ე{რისთავ} ი(ო)ვ(ანე)ს | ძე(მა)ნ თუ(რ)ქ(ნ)ი დ(ა)Თ(ო)ცა სკუ(ირე)თს. მე{ო}ხ ეყ{ა}ვ, წ(მიდა)ო ეკ(ლესია)ო, მზ(ე)გ(რძელობი)ს(ა) მ(ის)თ(უი)ს“.

როგორც ვხედავთ, კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ლაპიდარული წარწერა შინაარსის მიხედვით სააღმშენებლო ხასიათისაა. წარწერის ტექსტი, შინაარსობლივი თვალსაზრისით, ოთხი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი საღმრთისმეტყველო ტექსტს შეიცავს: **„ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ(ა) ღ(მრთისაჲთ)ა, მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ღ(მრთის)ამშ(ო)ბ(ე)ლ(ისაჲ)თა“**. II ნაწილი სააღმშენებლო ხასიათისაა და გადმოგვცემს ეკლესიის მშენებლობის დაწყების დროს, როდესაც ერისთავთ ერისთავი ლიპარიტი რანთ მეფე იყო: **„წ(მიდის)ა ამ(ი)ს ეკლესი{ი}სა საძ{ი}რკ{უე}ლი დად{ებუ}ლი იყო | მას ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავი) ლ{ი}პ{არი}ტ რანთ მ{ე}ფე იყო“**. III ნაწილში მოთხრობილია ერისთავთ ერისთავ

იოვანეს ძის, ერისთავთ ერისთავ ლიპარიტის მიერ ეკლესიის აშენების დასრულების დრო - ერისთავთ ერისთავ ლიპარიტის მიერ სკვირეთს თურქ-სელჩუკების დახოცვის ამბავი: **„გ(ა)სრ(ულ)დ(ა) მ{ა}ს ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავ) ლ(ი)პ(არი)ტ, ე{რისთავთ} ე{რისთავ} ი(ო)ვ(ანე)ს | ძე(მა)ნ თუ(რ)ქ(ნ)ი დ(ა)ჴ(ო)ცა სკუ(ირე)თს“.** IV ნაწილი კი სავედრებელ ტექსტს წარმოადგენს: **„მე{ო}ხ ეყ{ა}ვ, წ(მიდა)ო ეკ(ლესია)ო, მზ(ე)გ(რძელობი)ს(ა) მ(ის)თ(უი)ს“.**

წარწერის ტექსტში მოხსენიებულია ორი ისტორიული პერსონაჟი – ერისთავთ ერისთავი ლიპარიტ რანთა მეფე და მისი მამა, ერისთავთ ერისთავი იოვანე. როგორც ცნობილია, კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესია ქვემო ქართლის ისტორიულ მხარეში, კერძოდ, თრიალეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში მდებარეობს, რომელსაც, ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, IX-XII საუკუნეების განმავლობაში ბაღვაშთა ფეოდალური სახლი განაგებდა. ამას ისიც ემატება, რომ სახელი ლიპარიტი და იოვანე მეტად გავრცელებული სახელები იყო ამ არისტოკრატიულ ოჯახში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეჭვგარეშეა, რომ ჩვენთვის საინტერესო წარწერაში მოხსენიებული ერისთავთ ერისთავი, რანთა მეფე ლიპარიტ და მისი მამა – ერისთავთ ერისთავი იოვანე ბაღვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან.

ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, ბაღვაშთა ფეოდალურ სახლში რამდენიმე ლიპარიტი გვხვდება: ლიპარიტ I, ლიპარიტ II, ლიპარიტ III, ლიპარიტ IV და ლიპარიტ V, რომლებიც თრიალეთის ერისთავის საპატიო სახელოს ფლობდნენ. ზემოჩამოთვლილი ხუთი ლიპარიტიდან ლიპარიტ I, ლიპარიტ II და ლიპარიტ III ბაღვაშები უნდა გამოირიცხოს, რადგან მათ დროს თურქების შემოსევას საქართველოში ადგილი არ ჰქონდა. რაც შეეხება ლიპარიტ IV ბაღვაშს, იგი ორი ძლიერი იმპერიის - საბერძნეთისა და თურ-სელჩუკების დაპირისპირებაში ბიზანტიელთა მხარეს იბრძოდა და 1048 წელს ტყვედაც ჩავარდა. თუმცა, როგორც ცნობილია, ლიპარიტ IV ბაღვაშის მამა ლიპარიტ III ბაღვაში გახლდათ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო წარწერაში უნდა იხსენიებოდეს XI საუკუნის II ნახევარში, უფრო კონკრეტულად, 1078-1094/1095 წლებში თრიალეთის საერისთავოს პატრონი ლიპარიტ V ბაღვაში, რომლის მამაც თრიალეთის ერისთავი იოვანე II ბაღვაში იყო.

II. იოვანე II ბაღვაში - თრიალეთის ერისთავთ-ერისთავი

იოვანე II ბაღვაში რამდენიმე წერილობით ძეგლშია მოხსენიებული, რომელთაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემოგთავაზებთ.

1. 1047, 1048 და 1051 წლებში ლიპარიტ IV ბაღვაშის დაკვეთით გაბრიელ კოტას მიერ გადაწერილი იოვანე ოქროპირის თხზულების – მათეს და იოვანეს სახარების თარგმანების სამი დიდი ზომის ქართული ხელნაწერის ანდერძ-მინაწერებში ლიპარიტთან ერთად მისი ვაჟები: რატი, ივანე და ნიანია იხსენიებიან. მოვიტანთ რამდენიმე ანდერძ-მინაწერის ტექსტიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილებს:

„ქ(რისტ)ე, ადიდენ ორთავე | შინა ცხოვრებათა(!) | ძლიერი ერისთ(ა)ვთა ერ|ისთ(ა)ვი ლიპარიტ და | ძენი მისნი: რატ, ივ|ანე და ნიანია; ქ(რისტ)ე, მფლობელო ყ(ოვე)ლთა | სუფევათაო, ადიდენ | და დაიცვენ ორთვე შ(ინ)ა | ცხორებათა ძლიერი

ერის|თავთა ერისთავი ლიპ(ა)რიტ | და ძენი მისნი: რატ, ივა|ნე და ნიანია; მხოლოდ შობილო ძე|ო ღ(მრ)თისა მაღლისაო, | ადიდენ დღეგრძელებით და დაიცვენ ორთავე შ(ინ)ა | ცხოვრებათა (!) ძრიელი(!) | ერისთავთა ერისთავი ლიპარიტ და ძენი მისნი: | რატ, ივანე და ნიანია" [სილოგავა, 2001: 260].

2. „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი მოგვითხრობს რა 1048 წელს ბერძენთა მხარეს ლიპარიტ IV ბაღვაშის ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ, მის ტყვეობაში ჩავარდნასა და ხორასანში სულთნის კარზე გაგზავნას, დასძენს: *„დიდებულთა ამის სამეფოჲსათა და შვილთა ლიპარიტისთა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოებაჲ და გამოყვანეს მეფე მეფედ. და კუალად მოირჭუნა და შეიპყრნა შვილნი ლიპარიტისნი; აიღო უფლისციხე და გამოუშუა ივანე"* [მატიანე ქართლისაჲ, 2008: 286].

3. ერთიანი საქართველოს მეფე – ბაგრატ IV (1027-1072) შიომღვიმის ეკლესიას 1057/1058 წლებში წყალობის სახით აძლევს თრიალეთში მდებარე სოფელ ბორცისჯვარს. საბუთს სხვა მოწმეებთან ერთად ხელს ურთავს იოვანე ლიპარიტის ძე:

„ქ. ადიდენ ღ(მერთმა)ნ! ესე, ვითა უძლეველსა მეფეთა-მეფესა დაუწერია და შეუწირავს ბორცუისჯუარი მღუიმისათ(უი)ნ, სალოცველად მეფობისა მათისა, შეაწიენ ღ(მერთმა)ნ მადლი წ(მი)დ(ი)სა შიოსი და ევაგრესი, მეცა, მიწასა მეფობისა მათისასა ი(ოვან)ეს, ძესა ლ(ი)პ(არი)ტ ე(რისთავთ)-ე(რისთავი)სა, დამიმტკიცებია. უქცეველი არს ბრძანებაი მათი ჩემგანცა, მონისა მათისაგან" [ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი, 1984: 38].

4. 1054 წელს შავ მთაზე მდებარე კალიპოსში ღმრთისმშობლის ეკლესიაში გადაწერილი ალავერდის ოთხთავის მე-7 და მე-10 ანდერძ-მინაწერებში ივანე II ბაღვაში ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულით – პროედროსად იხსენიება.

„...ესე ანდერძი მე ივანე პროედროსმან, ძემან ლიპარიტ ე˜ესამან პროედროსისა და პროტარხონისამან დავწერე მას ჟამსა, ოდეს, ადიდენ, ღმერთმან ძლიერმან აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოსმან კონსტანტინეპოვლით მომიყვანეს და მოვედ კაცხს, მამულსა ჩუენსა, მონასტერსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა...".

„ქ. ადიდენ ღმერთმან ძრიელსა და უძლეველსა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოელისიმოსმან გამოიყვანა კონსტანტიპოვლით ივანე პროედროსი, ძე ლიპარიტ ე˜ესა პროიდროსისა და პროტარხონისა და მოვიდეს კაცხს, ეკლესიასა მათსა, თუესა აპრილსა ია, დღესა ახალკჯრიაკესა, ... ქრონიკონი იყო სოთ (1059)" [მეტრეველი, 1986: 214].

5. „მატიანე ქართლისაჲ"-ს ავტორი მას შემდეგ, რაც დეტალურად აღწერს ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის წასვლას საბერძნეთში ბიზანტიის იმპერიის სამეფო კარზე, ლიპარიტ IV ბაღვაშის მიერ მისი მცირეწლოვანი ვაჟის, გიორგის მეფედ კურთხევას რუისის საკათედრო ტაძარში და მის პატრონად ბაგრატ IV-ის დის, გურანდუხტ დედოფლის დასმას, ბაგრატ IV-ის დაბრუნებას საბერძნეთიდან, ამის შემდეგ ამბობს:

„და მცირედისა ჟამისა შემდგომად ამის სამეფოჲსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობაჲ ლიპარიტისი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს და შეიპყრეს დლივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე, ხოლო ნიანია გარდაეხუეწა და მიმართა კლდეკართა; და არა შეუშუეს მამისა მისისა ციხოვანთა,

და წარვიდა ანისს ბერძენთა თანა. ხოლო ლიპარიტ და ივანე პყრობილნი სულა წარიყვანნა კალმახს. და მსწრაფლ გაგზავნა სულა მეფისა წინაშე სულთა ზედა მჴმობელნი. ... მოვიდა მეფესა წინაშე სულა ჯავახეთს და მოჰგუარნა ლიპარიტ და ივანე პყრობილნი და მოაჴსენნა; ჴელთა აღიხუნა ლიპარიტეთგან ციხენი: არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირთვისი. ხოლო კლდეკარნი მტკიცედ ეპყრნეს ციხოვანთა; რამეთუ მუნ შიგა დგა ანამორი, მწიგნობართუხუცესი ლიპარიტისი. მიიყვანეს თრიალეთს, ამოთა თხოვნითა არა მოსცნეს ციხოვანთა კლდეკარნი, აღმართეს ძელნი და გაასხნეს მას ზედა ლიპარიტ და ივანე და განწირნეს სიკუდილად. და შემდგომად დღეთა რაოდენთამე მოიმტკიცეს მეფე და დიდებულნი ამის სამეფოჲსანი ციხოვანთა ლიპარიტისთა მშჳდობით გაშუებისათჳს ლიპარიტისა და ივანესა. მოსცნეს კლდეკარნი. გამოიღო თავისი ხუასტაგი და ჩაიცუნა ჩოჴანი ლიპარიტ და შეჰვედრა ძე თჳსი ივანე მეფესა. დარჩა არგუეთის მამული ივანეს. ეფუცა ლიპარიტ მეფესა შეუცოდებლობისათჳს, და გაუშუეს და წარვიდა სამეფოსა.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა გაიპარა და წარვიდა ივანე საბერძნეთს და დაყვნა მუნ წელნი რაოდენნიმე. და ნიანია მოკუდა ანისს ბერძენთა ყმობასა შინა და ივანეს უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა.

და თჳთ ბაგრატცა გამოიზიდნა და გამოყვანა ამას სამეფოსა და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისაჲ და ჰმონებდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოჲსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა“ [მატიანე ქართლისაჲ, 2008: 287-289].

6. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი 1068 წელს ალფ-არსლანის საქართველოში შემოსვლისა და მის მიერ ქართლის აოხრების ამბების გადმოცემისას აღნიშნავს:

„და მიგზავნა მოციქულად ივანე, ძე ლიპარიტისი, მეფემან ბაგრატ ძიებად მშჳდობისა. ხოლო სულტანმან შეაქცია იგი აფხაზეთად ბაგრატისა, სთხოვა ხარაჯაჲ და უქადა მშჳდობაჲ“[მატიანე ქართლისაჲ, 2008: 292].

7. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის თხზულებაში, რომელშიც დაწვრილებითაა გადმოცემული შემდეგი მოვლენები: 1068 წელს ალფ-არსლანის მიერ განძის ამირა - ფადლონისათვის თბილისისა და რუსთავის გადაცემა, საქართველოს მეფის აფხაზეთიდან დიდგორს გადმოვლა, ამირა ფადლონის მიერ თბილისში შემოსვლა, მუხრანს მისვლა და იქიდან ქართლის სანაპირების აოხრება, მემატიანე აგრძელებეს თხრობას:

„ხოლო ცნა ტფილისით გაღმართ აფხაზთა მეფემან ქართლისა ვნებაჲ, - წარმოსვლაჲ ფადლონისი. გამოგზავნა ხილვად ივანე, ძე ლიპარიტისი, და ნიანია, ძე ქუაბულისი, და მურვან ჯაყელი, ერისთავი ყუელისაი, და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მცირედნი რჩეულითა ლაშქრითა. ხოლო ქართლს ველარა ჩამოეწივნეს შექცეულთა, გაუსწრეს მუხნარს წინა, წილკნის გორთა თანა. უკანასა კერძსა შეებნეს და პირველსავე ჴრმლისა მოკიდებასა გააქციეს ფადლონ. და მიადგა ფადლონის ლაშქარი გაქცეული ხრამსა ნარეკუავისასა, მიჰჴოცდეს და იპყრობდეს აფხაზთა მეფისა ლაშქარნი, და აღმოიგო ხრამი იგი ცხენითა და კაცითა“ [მატიანე ქართლისაჲ, 2008: 293].

8. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი მოგვითხრობს რა საქართველოს მეფის - ბაგრატ IV გარდაცვალებისა და ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე მისი ვაჟის,

გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) აღსაყდრების ამბავს, ამის შემდეგ მემატიანესთან ვკითხულობთ:

„ხოლო შემდგომად თავადთა ამის სამეფოჲსათა ნიანია ქუაბულისძემან და ივანე ლიპარიტის ძემან და ვარდან სუანთა ერისთავმან რეცა თუ იკლეს რაჲმე სიყრმით გიორგი მეფისაჲთ და აუშალეს ქუეყანაჲ: ივანე მოირთნა კახნი და დადგა ქსნის პირსა; და ნიანია წარუღო ქუთათისისა საჭურჭლე და შედგა ქუთათისს შიგა; და ვარდან გაადგინნა სუანნი, ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყჳდეს საეგროჲ.

ხოლო გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა და ძჳრუჴსენებელ იქმნა; უბოძა ივანეს სამშჳლდე და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელი მისცა კახთა; ნიანიას - თმოგჳ და სხუანი საქონელნი რჩეულნი; ვარდანს უბოძა ასკალანა და უთაღუბო ჯაყელთა ივანეს სიტყჳთ უბოძა. და ყოველივე ერთგული და ორგული დაფარა წყალობითა და დაიწყნარა მეფობაჲ თჳსი გიორგი მეფემან.

კუალად გადგა ივანე ლიპარიტის ძე, და ცნო გიორგი მეფემან. ქუთათისით გარდამოვიდა სამცხეს, მოირთნა მესხნი, გარდამოიარა და მივიდა სამშჳლდის კარსა. მუნ მოიყვანა კახთა მეფე აღსართან. ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა. და მას ვერწყობილობასა შინა წაიხუნა ლოწობანი ლიპარიტისაგან აღსართან. მოეყარა მეფე სამშჳლდესა, გარდადგა ჯავახეთს. და მოყვანა მეფეთ-მეფემან გიორგი მათ წინაშე, და დაიფიცნეს ეკრანთას და დაიმტკიცა ივანე კლდეკართა და საშჳლდესა ზედა.

კუალადცა გადგა ივანე, გამოსტყუა გაგი ციხოვანთა გიორგი მეფისათა და მიჰყიდა ფადლონს, განძის პატრონსა. და მოვიდა სულტანი მალიქშა მტერად ყოველთა ქრისტიანეთა. მიაგება ივანე ძე მისი ლიპარიტ წინა, შეაწყნარა სულტანსა დაყო მის თანა მცირედი ხანი, და გამოეპარა. და მოვიდა სულტანი და მოადგა სამშჳლდესა და წარუღო სამშჳლდე. და ტყუე იქმნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა. და დაიჭირა სამშჳლდე სულტანმა. და მუნ დგომასა მოარბია ქართლი...“ [მატიანე ქართლისაჲ, 2008: 297-298].

ივანე II ბაღვაშის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები შესწავლილი აქვთ ივანე ჯავახიშვილს [ჯავახიშვილი, 1983: 132-134], ვასილ კოპალიანს [კოპალიანი, 1969: 252, 269, 271-273], ნოდარ შენგელიას [შენგელია, 1968: 303-306], მარიამ ლორთქიფანიძეს [ლორთქიფანიძე, 1979: 166-167], როინ მეტრეველს [მეტრეველი, 1973: 61-65], [მეტრეველი, 1980: 90], როინ მეტრეველს, ჯაბა სამუშიას [მეტრეველი, სამუშია, 2003: 66-71], ქეთევან ქუთათელაძეს [ქუთათელაძე, 2001: 112-114, 117, 132-135, 251-252] და სხვ. ივანე ბაღვაშის სრული ბიოგრაფიის აღდგენის პირველი მცდელობა ვასილ კოპოალიანის სახელს უკავშირდება.

მეცნიერი, ივანე ბაღვაშის ბიოგრაფიაზე მუშაობისას, ძირითადად, ორ წერილობით ძეგლს - „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორის თხზულებასა და 1057/1058 წლების ბაგრატ IV-ის შეწირულების სიგელს დაეყრდნო. მას თავის სადისერტაციო ნაშრომში „კდეკარის საერისთავო“ ივანე ბაღვაშის ბიოგრაფია შემდეგი სახით აქვს წარმოდგენილი:

„საქართველოს მეფემ - ბაგრატ IV-მ კონსტანტინეპოლიდან დაბრუნებულ ივანე ბაღვაშს ქართლისა და არგვეთის მამულებთან ერთად ქართლის ამირსპასალარობაც უბოძა. თავდაპირველად ივანე ბაღვაში ბაგრატ IV-ს ერთგულად მსახურებდა. 1060-იან წლებში საქართველოში თურქ-სელჩუკთა შემოსევები დაიწყო. ალფ-არსლანთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ბაგრატს თავისი დისწული, რომელიც ამავე დროს ტაშირ-ძორაკერტის მეფის ძმისწული იყო, სულთნისათვის უნდა მიეთხოვებინა. ტაშირ-ძორაკერტის მეფე კვირიკემ ბაგრატს არ დაანება თავისი ძმისწული. 1066 წელს ბაგრატმა ილაშქრა ქვემო ქართლში და ძალით წაართვა სამშვილდე კვირიკეს. სპასალარი ივანე ბაღვაში ამ მოვლენებში ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენდა. 1068 წელს, როდესაც ალფ-ასლანმა ქართლი და იმერეთი დალაშქრა, ბაგრატმა სპასალარი ივანე ბაღვაში მოციქულად გააგზავნა ალფ-არსლანთან. სულთანმა ხარკი ითხოვა, რაზედაც ბაგრატი არ დათანხმდა. მაშინ სულთანმა თბილისი და რუსთავი ძველ მფლობელებს ჩამოართვა და განძის ამირა ფადლონს გადასცა. ამის შემდეგ ბაგრატი იძულებული გახდა შუაგულ ქართლში ჩამდგარ ფადლონს შებრძოლებოდა. ივანე სპასალარმა უწინამძღვრა ქართლის აზნაურებს და ფადლონი ქართლიდან გააქცია.

ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ივანე სპასალარის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა სამეფო ტახტისადმი. ივანემ გიორგი II-ს ორჯერ აუშალა ქვეყანა. პირველი განდგომის დროს ივანემ კახელების დახმარებით ქსნისპირი დაიკავა. ამბოხებულები გიორგი მეფემ წყალობით დაიმორჩილა. მეფემ ამ დროს უბოძა ივანეს სამშვილდე, ხოლო მის ძეს, ლიპარიტს, შიდა ქართლში ლოწობანი ნაცვლად რუსთავისა, რომელიც მეფეს კახელებისათვის ჰქონია გადაცემული. როგორც ჩანს, ივანეს მეტი პრეტენზია ჰქონდა და ამის შემდეგაც განუდგა იგი მეფეს. ამჯერად იგი სამშვილდეში გამაგრდა. გიორგი მეფე მესხებთან ერთად სამშვილდეს მიადგა, ივანე სპასალარი კი ბრძოლას განერიდა. ამასობაში აღსართან კახთა მეფემ ლიპარიტ ივანეს ძეს ლოწობანი წაართვა და ქსნის ხეობაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი. სწორედ ამ მეორე განდგომის შემდეგ კვლავ შემოირიგა გიორგი II-მ ივანე ბაღვაში და ხელახლა დაუმტკიცა მას სამშვილდე და უბოძა კლდეკარის ერისთავობა. მიუხედავად ამ წყალობებისა, ივანემ კვლავ უღალატა გიორგი II-ს. მან მეციხოვნეებს გაგის ციხე გამოსტყუა და თავის ძველ მტერს, განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა. 1078 წელს, როდესაც მალიქ-შაჰი საქართველოს მოადგა, ივანემ მტერს თავისი ძე ლიპარიტი შეაგება და მალიქ-შაჰის ბანაკში დატოვა. ლიპარიტმა დიდხანს ვერ გაძლო მალიქ-შაჰთან და გაიპარა. მელიქ-შაჰი შურის საძიებლად სამშვილდეს მოადგა, ივანე და მისი ცოლ-შვილი დაატყვევა და ქართლი დაარბია. ვ. კოპალიანის თქმით, „ამიერიდან ვიდრე დავითა აღმაშენებლამდე კლდეკარის ერისთავი არ ჩანს“ [კოპალიანი, 1949: 201-210].

ვ. კოპალიანმა ყურადღება გაამახვილა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობაზე, სადაც ხაზგასმულია ბაგრატის მიერ ივანესათვის არგვეთისა და ქართლის მამულების მიცემის ფაქტი, ამის საპირისპიროდ საერთოდ ნახსენებიც არაა მეფის მიერ ივანესათვის კლდეკარის საერისთავოს დაბრუნება. მიუხედავად ამისა, ისტორიკოსს 1057/1058 წლების ბაგრატ IV-ის მიერ შიომღვიმისადამი მიცემულ შეწირულების წიგნში მოწმეთა შორის ივანეს მოხსენიება საკმარისს არგუმენტად მიაჩნია იმის სათქმელად, რომ ივანემ კლდეკარის საერისთავოზედაც აღიდგინა უფლებები [კოპალიანი, 1949: 204-205].

ვასილ კოპალიანის შემდეგ ივანე ბაღვაშის ბიოგრაფიას ანა ბაქრაძე შეეხო. მეცნიერი კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის იოვანე ერისთავთ ერისთავის სააღმშენებლო წარწერაში მოხსენიებულ იოვანეს ლიპარიტ IV-ის ვაჟთან, იოვანე II ბაღვაშთან აიგივებს. მეტი თვალსაჩინოებისათვის, მეცნიერის მოსაზრება ამ წარწერასთან დაკავშირებით სრული სახით მოგვყავს:

„ქ. სახელითა ღმრთისათა წმიდისა ღმრთისმშობელთა აღვაშენე ეკლესიაჲ ესე ... მე, იოვანე ერისთავთ-ერისთავმან“. ეს წარწერიანი ქვა ნაპოვნი ყოფილა კლდეისის ეკლესიის ეზოში. შინაარსიდან ეტყობა, რომ ქვა ეკლესიას ეკუთვნოდა. კლდეისი კლდეკარის ერისთავთა სამფლობელოს ფარგლებში შედიოდა. ვინაიდან აქ საქართველოს მეფის სახელი არ გვხვდება, საფიქრებელი, რომ მაშენებელი კლდეკარის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელია. ამ სახელისა და ტიტულის მქონე პირი ამ საგვარეულოდან მხოლოდ ერთია ცნობილი. ეს არის ივანე ლიპარიტ IV-ს ძე, რომელიც მამის შემონაზვნების შემდეგ რამდენიმე ხანი ბიზანტიაში იმყოფებოდა. 1059 წ. დათარიღებული კაცხისადმი შეწირული ხელნაწერიდან ჩანს, რომ ამ დროს იოანე დაბრუნებულია საქართველოში, ისე რომ დასახელებული წარწერა, თუ კი აქ მართლაც იოვანე ლიპარიტის ძე იგულისხმება, გაკეთებული უნდა იყოს 1059 წლის შემდეგ“ [ბაქრაძე, 1959: 62].

დევი ბერძენიშვილმა იოვანე II ბაღვაშის ბიოგრაფია ინფორმაციული თვალსაზრისით კიდევ უფრო გაამდიდრა. ისტორიკოსი თრიალეთის მხარეში, კერძოდ, ზურტაკეტის ხეობაში მდებარე კაკლიანის სავედრებელ წარწერაში მოხსენიებულ ერისთავთ ერისთავ იოვანეს იოვანე II ბაღვაშთან აიგივებს. მისი თქმით, „ვეება არქიტრავის ქვაზე, სულ ქვედა კიდეზე ერთი სტრიქონია ამოკოდვილი ასომთავრულით: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ჲვ(ა)ნე ე(რისთავთ) ე(რისთავი)“.

ეს უნდა იყოს ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში, რომელიც მამის შემონაზვნების შემდეგ მასთანავე გაიქცა კონსტანტინეპოლს. 1059 წ. ბაგრატ მეფემ იგი სამშობლოში დააბრუნა „და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეფოსათა და სპასალარ სიკეთითა მისითა“. ივანე მამული ქართლში კლდეკარის საერისთავო იყო, „ქუეყანანი თრიალეთისა“. ის, რაც ლიპარიტს თრიალეთს გარდა ძალით ჰქონდა მინატაცები, არ ჩანს, რომ ბაგრატ IV ივანესათვის დაებრუნებინოს. გიორგი II მეფობაში კი ივანემ კლდეკართან ერთად მეზობელი სამშვილდეც დაიმტკიცა. ამრიგად, კაკლიანის წარწერა (შესაძლოა იქაური საყდრის აგების თანდროული) 1059 წ. შემდეგაა შესრულებული, როდესაც ივანე თრიალეთის ერისთავთ-ერისთავად დაბრუნდა“ [ბერძენიშვილი, 1982: 9; ბერძენიშვილი, 2005: 62].

მიხეილ ბახტაძემ ქართული წერილობითი ძეგლების (ალავერდის ოთხთავის 1059 წლის მინაწერი, მატიანე ქართლისაჲ, ივანე ერისთავთ ერისთავის სააღმშენებლო წარწერა კლდეისის ეკლესიიდან) ურთიერთშეჯერების საფუძველზე იოვანე II ბაღვაშის ბიოგრაფია შეადგინა. იგი თითქმის უცვლელი სახით იმეორებს ვასილ კოპალიანის მიერ ივანე II ბაღვაშის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს. თუმცა, ვასილ კოპალიანისაგან განსხვავებით, მას მიაჩნია, რომ ბაგრატ IV-მ ივანე ბაღვაშს არგვეთის, ქართლის მამულებთან და ქართლის ამირსპასალარობასთან ერთად კლდეკარის საერისთვოც დაუბრუნა. მეტი თვალსაჩინოებისათვის სრული სახით

გთავაზობთ მეცნიერის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით: „...რაც შეეხება „მატიანეს“ ცნობას არც აქ არის ნათქვამი რაიმე ივანეს ერისთავობის (იგულისხმება კლდეკარის ერისთავობა - თ.გ.) შესახებ. ვ. კოპალიანის აზრით მეფემ ივანეს ძველ სამფლობელოებთან ერთად უბოძა ქართლი და სპასალარის თანამდებობა. ჩვენი აზრით, ივანეს ამავე დროს ებოძა კლდეკარის ერისთავობაც. ნაკლებ რეალურად გვეჩვენება, რომ იმ დროს როცა მეფე მას უბრუნებს მამულებს და აძლევს სპასალარობას, ივანეს არ დაებრუნებინა კლდეკარის ერისთავობა. „ჴელი“ რომელიც ტრადიციულად ბაღვაშთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ჩვენ ვთვლით, რომ ივანემ ერისთავობა დაიბრუნა 1059 წელს. ივანეს ერისთავობას ადასტურებს კლდეისის წარწერა - „აღვაშენე ესე ეკლესიაჲ ... მე იოვანე ერისთავთ-ერისთავმან“ [ბახტაძე, 2003: 179-180].

სულ ბოლოს მისი ბიოგრაფია ქართული წერილობითი ძეგლების (მატიანე ქართლისაჲ; 1057/1058 წლის ბაგრატ IV წყალობის სიგელი შიომღვიმისადმი; 1054 წლის ალავერდის ოთხთავის 1059 წლის მინაწერი) ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიკოსმა დარეჯან კლდიაშვილმა შეადგინა. ისტორიკოსი თითქმის უცვლელი სახით იმეორებს ვასილ კოპალიანის მიერ ივანე II ბაღვაშის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს [კლდიაშვილი, 2017: 299-301].

როგორც ვხედავთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში (ვასილ კოპალიანი, ანა ბაქრაძე, დევი ბერძენიშვილი, დარეჯან კლდიაშვილი, ქეთევან ქუთათელაძე, მიხეილ ბახტაძე) ქართული წერილობითი ძეგლების ურთიერთშეჯერების შედეგად დადგენილია ივანე II ბაღვაშის ბიოგრაფია. მეცნიერთა ერთი ნაწილს (ანა ბაქრაძე, მიხეილ ბახტაძე) ივანე II-ის თრიალეთის ერისთავთ ერისთავობის ერთ-ერთ წყაროდ კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის იოვანე ერისთავის სააღმშენებლო წარწერა მოჰყავთ, რომელიც, სამწუხაროდ, დღეისათვის დაკარგულია. ზაზა ალექსიძის აზრით, კლდეისის ეკლესიის თაღსა და სააღმშენებლო წარწერაში მოხსენიებული იოვანე ერისთავი ერთი და იგივე პირია, რომელიც არა ბაღვაშთა სახლის, არამედ ტბელთა ფეოდალური სახლის X საუკუნის II ნახევრის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რასაც სრულად ვეთანხმებით [ალექსიძე, 2011: 49]. ამგვარად, იოვანე ერისთავის სააღმშენებლო წარწერა სარწმუნოდ ვერ ჩაითვლება იმის სამტკიცებლად, რომ აქ მაინც და მაინც ივანე II ბაღვაში ვიგულისხმოთ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართული ხელნაწერი წიგნისა (A-484) და ქართლის ცხოვრების ქრონიკაში („მატიანე ქართლისაჲ“) დაცულ ცნობებზე დაყრდნობით, მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ივანე II ბაღვაში ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს პროედროსის, ქართლის და თრიალეთის ერისთავობის საპატიო სახელოებს ფლობდა. ქართველ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მოსაზრება, მისი თრიალეთის ერისთავობასთან დაკავშირებით ძირითადად დამყარებული ქართლის ცხოვრების ქრონიკებში დაცულ ცნობებთან, სადაც, მართალია, ივანე თრიალეთის ერისთავის სახელოთი არსად არ იხსენიება, თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ ქვემო ქართლში მის გამგებლობაში არსებულ ტერიტორიას, აშკარაა, რომ ის ნამდვილად თრიალეთის ერისთავის სახელოს ფლობდა. ამას ემატება კაკლიანის ეკლესიის ივანე ერისთავთ ერისთავის სავედრებელი წარწერა, რომელშიც დ. ბერძენიშვილი ივანე II ბაღვაშს

გულისხმობს. აღნიშვნის ღირსია, რომ ბოლო დროს აღნიშნული წარწერის ახლებურ წაკითხვას გიორგი ოთხმეზური გვთავაზობს, რომლის მიხედვით წარწერა ასე იკითხება: „ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალე)ნ ვ(არდა)ნ ე(რისთავთ)-ე(რისთა)ვ(ი)“. მეცნიერი, დ. ბერძენიშვილისაგან განსხვავებით, წარწერას პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს [ოთხმეზური, 2017: 34, 186]. ჩვენ ვიზიარებთ კაკლიანის წარწერის დ. ბერძენიშვილისეულ წაკითხვას და, მის მსგავსად, ვფიქრობთ, რომ ამ წარწერაში არა ვარდან ერისთავთ ერისთავი, როგორც ამას გ. ოთხმეზური ფიქრობს, არამედ ლიპარიტ V ბაღვაშის ვაჟი, ივანე II ბაღვაში იხსენიება.

ივანე II ბაღვაში რომ ნამდვილად ფლობდა თრიალეთის ერისთავის სახელოს ამას კიდევ ერთხელ დოკუმენტურად ადასტურებს კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი წარწერა. ჩვენთვის საინტერესო წარწერაში ივანე II ბაღვაში სწორედ ერისთავთ ერისთავის ტიტულით არის მოხსენიებული: **„გ(ა)სრ(ულ)დ(ა) მ{ა}ს ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავ) ლ(ი)პ(არი)ტ, ე{რისთავთ} ე{რისთავ} ი(ო)ვ(ანე)ს | ძე(მა)ნ თუ(რ)ქ(ნ)ი დ(ა)ჴ(ო)ცა სკუ(ირე)თს“.**

III. ლიპარიტ V ბაღვაში თრიალეთის ერისთავთ ერისთავი

ლიპარიტ V ბაღვაში რამდენიმე წერილობით ძეგლშია მოხსენიებული. ეს გახლავთ ქართლის ცხოვრების ქრონიკები (მატიანე ქართლისაჲ, დავითის ისტორიკოსი) და ათონის სააღაპე ჩანაწერი, რომელთაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შემოგთავაზებთ.

1. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი სამჯერ იხსენიებს ივანე II ბაღვაშის ვაჟს, ლიპარიტ V ბაღვაშს. პირველად 1073 წელს საქართველოს მეფის - გიორგი II-ის წინააღმდეგ ქართლის ფეოდალების - ნიანია ქუაბულისძის, ივანე II ბაღვაშისა და ვარდან სვანთა ერისთავის მიერ მოწყობილ გამოსვლასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ამ გამოსვლაში ივანე II ბაღვაშთან ერთად მისი ვაჟი, ლიპარიტი V ბაღვაშიც აქტიურად იყო ჩართული, რისი ნათელი დადასტურებაცაა მემატიანის შემდეგი სიტყვები: *„ხოლო გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა და ძჳრუჴსენებელ იქმნა; უბოძა ივანეს სამშჳლდე და ძესა ივანესსა ლიპარიტს მისცა ლოწობანნი ნაცვლად რუსთავისა, რომელი მისცა კახთა“.* მეორედ, გიორგი მეფის წინააღმდეგ ივანე ბაღვაშის მეორედ გამოსვლის დროს. ლიპარიტი აქაც კვლავ მამის მხარეზე ჩანს. თუმცა, ივანეს მეორე გამოსვლის მარცხით დამთავრების შემდეგ, საქართველოს მეფის მოკავშირემ - კახთა მეფე აღსართანმა ლიპარიტს გიორგი მეფის მიერ ნაწყალობევი ლოწობანი წაართვა. მესამედ 1078 წელს მალიქ-შაჰის შემოვლის დროს. ივანე ბაღვაშმა თურქ-სელჩუკთა სულთანს სწორედ მისი ვაჟი, ლიპარიტი მიაგება, რომელმაც *„დაყო მის თანა მცირედი ხანი, და გამოეპარა“* [მატიანე ქართლისაჲ, 2008: 297-298].

2. შემდეგ ცნობას ლიპარიტ V ბაღვაშის შესახებ დავით IV აღმაშენებლის ისტორიკოსთან ვხვდებით, რომელიც მოგვითხრობს რა გიორგი მეფის გამარჯვებას ფარცხისთან სულთნის მიერ გამოგზავნილი სარანგების წინააღმდეგ, ამის შემდეგ დეტალურად აღწერს თურქების მარბიელ შემოსევებს საქართველოში („დიდი თურქობა“), გიორგი მეფის წასვლას ისპაჰანს სულთნის კარზე, სულთნის მიერ მის შეწყნარებას, საქართველოს გათავისუფლებას მარბიელი ლაშქრობებისაგან. გარდა ამისა, მისთვის კახეთისა და ჰერეთის მიწების წყალობას. მეფის მიერ სულთნის

ჯარით კახეთის დაკავებას და ვეჟინის ციხის ალყას, გიორგი მეფის გადასვლას დასავლეთ საქართველოში, 1088/1089 წლებში მომხდარ მიწისძვრას, 16 წლის დავითის ასვლას სამეფო ტახტზე. ზემოჩამოთვლილი ამბების შემდეგ ისტორიკოსი გვიამბობს: *„რამეთუ მეფე იქმნა რაჲ დავით, მოოჯრებულ იყო ქართლი; და თჳნიერ ციხეთა სადამე არასადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცარა შენებულებაჲ. მათ ჟამთა შინა ჰქონდის თრიალეთი და კლდე-კარნი და მიმდგომი მათი ქუეყანაჲ ლიპარიტს, და მეფისა დავითის წინაშე იყვის რეცა ერთგულად, ეგრეთვე ნიანია კახაბერის ძეცა. და სხუანიცა აზნაურნი მცირედ-მცირედ შემოკრბიან დაშთომილნი სადამე და სოფლებადცა დაიწყეს შთამოსვლად და დასხდომად ...*

ამა ვითარებასა შინა გარდაჴდა წელიწადი ოთხი; მოკუდა სულტანი მალიქშა და ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურთა უგზოთა კუალთა სლვაჲ, რამეთუ ზაკჳდა წინაშე მისსა მოპოვნებად უსჯულოებისა; დაღათუ ქრისტეანე იყო სახითა, გარნა ორგულებაჲ და სიძულილი პატრონთაჲ გუარისაგან მოაქუნდა გონებითა; და ვინაჲთგან გულისჴმისყოფაჲ არა ინება კეთილისაჲ, დადგა იგი ყოველსა გზასა არ-კეთილსა.

ამას რაჲ ესევითარებასა ხედვიდა მეფე დავით, ინება განწურთაჲ მისი; ამისთჳსცა პყრობილ-იყო იგი ჟამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე; და ესრეთ, მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და ერთგულებისათჳს ღმრთისა შუამდგომელად შემომღებელი, განუტევა იგი, და მითვე დიდებითა ადიდა და არა შეუცვალა; რამეთუ კეთილმან არა თუ მართალსა, არამედ არცა თუ ბოროტსა ადვილად აბრალის, ვინაჲთგან სიბოროტედ არა განსწავლულ არს, არცა მეჭეელ.

ხოლო იგი ვითარცა ძაღლი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწჯრისასა; განაცხადა მტერობაჲ და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თჳსსა. იხილა რაჲ მშჯდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან, რამეთუ კუდი ძაღლისა¡ არა განემარტების, არცა კირჩხიბი მართლიად ვალს, მეორესა წელსა კუალად შეიპყრა, ორ წელ პყრობილ-ყო და საბერძნეთს გაგზავნა; და მუნ განეკუა ცხორებასა“ [ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი, 2008: 307-309].

როგორც დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს, დავით IV აღმაშენებლის მეფობის დასაწყისში საქართველო მოოხრებული იყო. საქართველოს მეფის ერთგულ ფეოდალთა შორის ნიანია კახაბერისძესთან და სხვა აზნაურებთან ერთად ჩანს ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც თრიალეთს, კლდეკარსა და სხვა მასთან ახლოს მდგომ ტერიტორიებს ფლობდა. მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ მეფეს ორგულებისათვის ლიპარიტ ბაღვაში შეუპყრია, თუმცა მალევე მეფეს ფეოდალისათვის შეუნდვია ღალატი და ყველა ძველი სახელო და სამფლობელო მისთვის კვლავ დაუბრუნებია. თუმცა მიუხედავად ამისა, მათ შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა, დავით აღმაშენებელმა კვლავ შეიპყრო ლიპარიტ ბაღვაში, ორი წელიწადი პატიმრობაში ჰყავდა, რომლის შემდეგაც იგი ჩამოაშორა პოლიტიკურ მოღვაწეობას და საბერძნეთში გაგზავნა, სადაც იგი გარდაცვლილა.

3. ლიპარიტ V ბაღვაში რომ ნამდვილად საბერძნეთში იმყოფებოდა ამას ადასტურებს, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთ აღაპი, სადაც ვკითხულობთ: *„მეორესა შაბათსა წმიდათა მარხვათასა, აღაპი არს ლიპარიტისი, ივანეს ძისაჲ, მოგუცნა ორნი ცხენნი, ტაიჭნი კარგნი. გარდაიჴდებოდის ყოვლითა*

მოსწრაფებითა, ლოცვითა, ჟამისწირვითა ანაფორაჲთა. ძმათა მიეცემოდის კრასოვოლი სამი მწუხრი და ოთხი სამხრად. ესე წესი დაუკლებლად აღესრულებოდენ“[მეტრეველი, 1998: 149].

როგორც აღაპის ტექსტიდან ვიგებთ, ლიპარიტ V ბაღვაშს ორი ცხენი შეუწირავს ათონის ქართველთა მონასტრისათვის, რომლის სანაცვლოდაც მისთვის მარხვის მეორე შაბათს აღაპი განუწესებიათ. ნიკო ბერძენიშვილი [ბერძენიშვილი, 2007: 133] და ელენე მეტრეველი [მეტრეველი, 1998: 221] აღაპის ტექსტს 1097-1123 წლებით ათარიღებენ.

ლიპარიტ V ბაღვაშის ცხოვრება-მოღვაწეობის ცალკეული ეპიზოდები შესწავლილი აქვთ ივანე ჯავახიშვილს [ჯავახიშვილი, 1983: 132-134], ვასილ კოპალიანს [კოპალიანი, 1969: 252, 269 271-273], როინ მეტრეველს [მეტრეველი, 1973: 61-65], [მეტრეველი, 1986: 247-248]. ქეთევან ქუთათელაძეს [ქუთათელაძე, 2001: 112-114, 117, 132-135, 251-252], და სხვ. პირველად მისი ბიოგრაფია დაწვრილებით ვასილ კოპალიანმა შეისწავლა თავის სადისერტაციო ნაშრომში „კლდეკარის საერისთავო“.

ვ. კოპალიანი დასძენს, რომ კლდეკარის ერისთავთ ერისთავად „დავითის დროს ლიპარიტ ივანეს ძესა და მის შვილს რატს იხსენიებს დავითის ისტორიკოსი“ [კოპალიანი, 1949: 211]. მეცნიერს ამის შემდეგ მოჰყავს დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან ის ადგილი, საიდაც ვიგებთ, რომ ლიპარიტ V ბაღვაში იმავე ტერიტორიას ფლობდა, რასაც მისი მამა ივანე II ბაღვაში. მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ლიპარიტ V ბაღვაშის ამირად მოხსენიების ფაქტს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ლიპარიტი რომ ამირას ტიტულს ატარებდა ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის მოსაზრება გამოვთქვათ, რომ თურქთა ბატონმა უბოძა ეს ტიტული ლიპარიტს მას შემდეგ, როდესაც სულთანმა სამშვილდე დაიპყრო და ივანე ოჯახით თან წაიყვანა. თუ ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას სინამდვილედ მივიჩნევთ იმის შესახებ, რომ ლიპარიტს სულთანმა ამირამ ტიტული უბოძა, მაშინ ის აზრიც უნდა გავიზიაროთ, რომ ლიპარიტს ამირას ტიტულის მიღებამდე მუსლიმანობა ჰქონდა მიღებული. მაგრამ თურქთა თარეშით თავმოძულებულმა ლიპარიტმა დავითის ერთგულების გზა აირჩია, ხოლო როდესაც დავითი სრულ წლოვანი და თვითმპყრობელი გახდა, ლიპარიტს მისი ბატონობაც აღარ მოსწონს და ბრძოლას იწყებს დავითის წინააღმდეგ“ [კოპალიანი, 1949: 214].

როინ მეტრეველის თქმით, „ლიპარიტ V ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი. XI ს 90-იან წლებში, ივანე II ბაღვაშის ძე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მას ამირადაც მოიხსენიებს. 1093 ლ. V საქართვ. სამეფო კარის წინააღმდეგ გამოვიდა. დავით აღმაშენებელმა თავგასული ქვეშევრდომის „ინება გაწურთა“ და შეიპყრო იგი. რამდენიმე ხნის შემდეგ ლ. V „მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ“, მეფემ გაათავისუფლა და ყველა მისი უფლება შეუცვლელად ცნო. როგორც ჩანს, ლ. V-მ თავისი ფიცი და პირობა ვერ შეასრულა და საქართვ. მეფეს კვლავ გაუორგულდა - „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა“. დავით აღმაშენებელმა კვლავ შეიპყრო ლ. V და 2 წლის პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა (1096), სადაც გარდაიცვალა“ [მეტრეველი, 1983: 247-248].

მიხეილ ბახტაძის ამბობს, 1078 წელს „საქართველოში შემოიჭრა მალიქ-შაჰი. იგი „მოადგა სამშვილდესა და წარუღო სამშვილდე და ტყუე იქმნა ივანე თავითა,

ცოლითა და შვილისშვილითა“. ჩვენი აზრით გიორგი II-ს ერისთავობა, ნაცვლად დატყვევებული ივანესი, უნდა მიეცა მისი ძე ლიპარიტისთვის.

სწორედ ლიპარიტია ერისთავი 1089 წელს, დავითის ტახტზე ასვლის ჟამს. მემატიანე წერს - „ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი და მიმდგომი მისი ქუეყანანი ლიპარიტს“. როგორც ცნობილია დავით IV-მ ლიპარიტი ორგულობის გამო “შეიპყრა, ორ წელ პყრობილ ყო და საბერძნეთის გაგზავნა“. რ. მეტრეველის აზრით ლიპარიტის გაძევება მოხდა 1096 წელს. ე. ი. მეფემ ლიპარიტი შეიპყრო 1094 წელს“ [ბახტაძე, 2003: 180].

მზია სურგულაძის მიხედვით, „ლიპარიტ (V) ბაღვაში - ივანეს ძე, კ. ე. 1078-1089 წწ.; ივანე ბაღვაშის შემდეგ კლდეკარის ერისთავობა გიორგი მეფეს უბოძებია ივანეს შვილის, ლიპარიტისათვის. მის შესახებ ამბობს დავითის ისტორიკოსი, რომ დავითის გამეფების ჟამს „ჰქონდეს თრიალეთი და კლდეკარნი და მიმდგომი ქუეყანაჲ ლიპარიტს, და მეფისა დავითის წინაშე იყვის რეცა ერთგულად“. შემდგომ აღნიშნავს, რომ „მოკუდა სულტანი მალიქშა და ამა ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპეულთა უგზოთა კუალთა სლვაჲ“. მემატიანე კონკრეტულს არაფერს ამბობს ლიპარიტის შეცოდებათა შესახებ, მაგრამ ორგულობის გამო მას მეფის მრისხანება არაერთგზის დაუმსახურებია. რამდენიმე ხანს ლიპარიტი „განსაწუერთნელად“ დავითს დაუპატიმრებია, შემდგომ შეუნდვია და ყველა ძველი „დიდება“ ხელახლა უბოძებია. როდესაც ლიპარიტის საქციელით მეფე დარწმუნებულა რომ „კუდი ძაღლისაჲ არა გასწორდების“, 1094 წ. დაუპატიმრებია. საპატიმროში ლიპარიტს ორი წელი გაუტარებია, შემდეგ მეფეს იგი საბერძნეთში გაუგზავნია, სადაც გარდაცვლილა“ [სურგულაძე, 2017: 148].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ქართლის ცხოვრების ქრონიკებსა („მატიანე ქართლისაჲ“; „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი“) და ათონის აღაპში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით, მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ლიპარიტ V ბაღვაში კლდეკარის ერისთავობის საპატიო სახელოებს ფლობდა. თუმცა აღნიშვნის ღირსია, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ მოხმობილ წერილობით ძეგლებში ლიპარიტ V ბაღვაში თრიალეთის ერისთავის სახელოთი არსად არ იხსენიება. კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი წარწერა არა მარტო დოკუმენტურად ადასტურებს ლიპარიტ V ბაღვაშის თრიალეთის ერისთავობას, არამედ დამატებით გვამცნობს, რომ თრიალეთის ერისთავი ლიპარიტ V ბაღვაში რანთა მეფის საპატიო ტიტულსაც ატარებდა. ჩვენთვის საინტერესო წარწერაში ლიპარიტ V ბაღვაში სწორედ ერისთავთ ერისთავისა და რანთა მეფის ტიტულით არის მოხსენიებული: ***„ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თ(ა) ღ(მრთისაჲთ)ა, მე(ო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდის)ა ღ(მრთის)ამშ(ო)ბ(ე)ლ(ისაჲ)თა წ(მიდის)ა ამ(ი)ს ეკლესი{ი}სა საძ{ი}რკ{უე}ლი დად{ებუ}ლი იყო / მას ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავი) ლ{ი}პ{არი}ტ რანთ მ{ე}ფე იყო“.***

IV. ლიპარიტ V რანთა მეფე

როგორც ვხედავთ, კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერაში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ თრიალეთის ერისთავთ ერისთავი ლიპარიტ V იმავდროულად რანთა მეფის ტიტულსაც ფლობდა. საინტერესოა რა იგულისხმება რანთა მეფის ტუტულში ანუ მარტივად რომ ვთქვათ, თრიალეთის ერისთავთ

ერისთავი ლიპარიტ V რომელი ტერიტორიას ფლობდა, რის საფუძველზეც იწოდებოდა „რანთ მეფედ“?

როგორც ცნობილია, რანთა მეფის ტიტულს ერთიანი საქართველოს მეფეებისა და კახეთ-ჰერეთის მეფეების ტიტულატურაში ვხვდებით [ფაღავა, 2020: 45-79]. პირველად ეს ტიტული გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ – ბაგრატ III (975-1014) მიიღო, როდესაც მან 1008-1010 წლებში კახეთი და ჰერეთი შემოიერთა. მეცნიერთა უმეტესი ნაწილი [კაკაბაძე, 1929: 102-103], [მელიქსეთ-ბეგი, 1959: 122], [თოფურია, 1975: 191] და სხვ. რანის სინინომად ჰერეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციას მიიჩნევს. თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილი (ბოჭორიძე, 1930: 194], [სტეფნაძე, 1976: 157], [პაპუაშვილი, 1982: 218-220] მასში შედადიანთა სახელმწიფოს გულისხმობს. ჩვენც მიგვაჩნია, რომ რანი ფარავდა შედადიანთა სამფლობელოს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ქართული ნარატიული წყაროები (მატიანე ქართლისაჲ და სხვ.), სადაც ნათლად ჩანს, რომ რანი შედადიანთა სახელმწიფოს წარმოადგენდა, სანამ 1075 წელს მათ არსებობას თურქ-სელჩუკთა იმპერიამ არ მოუღო ბოლო.

თუ თვალს გავადევნებთ, 1073 წლის ახლადგამეფებული გიორგი II-ის წინააღმდეგ ქართველ ფეოდალთა გამოსვლას, სადაც ნიანია ქუაბულისძესთან და სვანთ ერისთავ ვარდანთან ერთად ივანე ლიპარიტისძეც მონაწილეობს და საქართველოს მეფის მხრიდან აჯანყებული ფეოდალების დაშოშმინების მიზნით მამულების დარიგებას, აშკარაა, რომ ივანე ლიპარიტის ძე და მის ვაჟი, ლიპარიტ V ბაღვაში იმდენად არიან გაძლიერებულნი, რომ ქვემო ქართლის გარდა კახეთი სამეფოს ტეროტორიებზე აცხადებენ პრეტენზიებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია, ლიპარიტ V ბაღვაშისათვის ლოწობნის გადაცემა ციხე-ქალაქ რუსთავის სანაცვლოდ, რომელიც საქართველოს მეფეს კახელი ფეოდალებისათვის გადაუცია. ივანე ბაღვაში ხელმეორედ გამოსვლის დროს საქართველოს მეფის მხარეს მესხი დიდებულები და კახეთის მეფე აღსართან II, რომელმაც ისარგებლა ივანე ბაღვაშის წინააღმდეგობის ვერ გაწევით, მის ვაჟს – ლიპარიტს გიორგი II-ის მიერ ნაბოძები ლოწობანი წაართვა. ამით არ დამთავრებულა ივანე II ბაღვაშის წინააღმდეგობა სამეფო კარის წინააღმდეგ, მან გაგის ციხეში მეფე გიორგის მეციხოვნეები გამოიტყუა და ციხე-სიმაგრე განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა. მალიქ-შაჰის საქართველოში შემოსვლის დროს ივანე ბაღვაშმა სწორედ მისი ძე, ლიპარიტი მიაგება, რომელმაც სელჩუკთა სულთანთან მცირე ხანი დაჰყო და მერე გამოიპარა. ამის საპასუხოდ სულთანმა სამშვილდე აიღო და ივანე თავისი ცოლით, შვილიშვილითა და აზნაურებით ტყვედ ჩაიგდო. სხვათა შორის, წყაროდან არ ჩანს, მალიქ-შაჰის ტყვეთა შორის ივანე II ბაღვაშის - ვაჟი ლიპარიტი. დავით აღმაშენებლის გამეფების დასაწყისში ლიპარიტ V ბაღვაშის საგანგებო ტერიტორიას – თრიალეთი, კლდეკარი და „მიმდგომნი მათი ქუეყანაჲ“ წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, დავით IV აღმაშენებლის გამეფების დროს ლიპარიტ V ბაღვაში თრიალეთის ერისთავობასთან ერთად რანის ტერიტორიასაც ფლობს, რადგან, როგორც ცნობილია, 1075 წელს თურქ-სელჩუკთა მიერ შედადიანთა სამეფომ არსებობა შეწყვიტა. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებით ისარგებლა ლიპარიტ V ბაღვაშმა, რანის გარკვეული ტერიტორია დაიკავა, რის გამოც იგი კლდეისის ღმრთისმშობლის ახლადგამოვლენილ წარწერაში რანთა მეფის ტიტულით იხსენიება. თუ დავაკვირდებით დავითის ისტორიკოსის წყაროს,

დავით IV აღმაშენებლის მთავარ მოწინააღმდეგე ქართველ ფეოდალს – ლიპარიტ V ბაღვაში წარმოადგენს, რომელიც თავდაპირველად მეფესთან ერთად იბრძვის. თუმცა მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ მან პოციზია შეიცვალა და მეფეს განუდგა. დავითმა საპასუხოდ მოღალატე ფეოდალი შეიპყრო, რომელიც ცოტა ხანს საპყრობილეში ჰყავდა გამოკეტილი. საქართველოს მეფემ ლიპარიტი ერთგულების ფიცის პირობით გაათავისუფლა და ძველ პატივში აღადგინა. თუმცა ლიპარიტი მეფეს კვლავ განუდგა, რის გამოც მეფემ მოღალატე ფეოდალი შეიპყრო, ორი წელი საპყრობილეში ჰყავდა გამოკეტილი და ამის შემდეგ საბერძნეთში გაგზავნა, რის შედეგადაც დავით IV აღამაშენებელმა იგი საბოლოოდ ჩამოაცილა პოლიტიკურ სარბიელს. დავითის ისტორიკოსი, ლიპარიტის პირველი გადგომის შემდეგ მას შემდეგი ეპითეტით მოიხსნეიებს: „ლიპარიტ ამირა“. ჩვენი აზრით, ამ ფრაზაში „ლიპარიტ ამირაში“ უნდა ვიგულისხმოთ რანთა მეფის ტიტული, რასაც, დავითის ისტორიკოსი, როგორც სამეფო კარის პოლიტიკის გამზიარებელი, აკნინებს, ლიპარიტ V ბაღვაშს თავისი ნამდვილი ტიტულით არ მოიხსენიებს, თუმცა, თუ შევადარებთ დავითის ისტორიკოსისა და კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი წარწერის მონაცემებს, ვფიქრობთ, ეჭვგარეშეა, რომ ამ ფრაზის „ლიპარიტ ამირას“ ქვეშ რანთა მეფე უნდა ვიგულიხმოთ. აქ გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ლიპარიტ V ბაღვაში ეკლესიის მშენებლობის დაწყების დროს თრიალეთის ერისთავთ ერისთავი და რანთა მეფეა, ხოლო ტაძრის დასრულების დროს მხოლოდ და მხოლოდ თრიალეთის ერისთავთ ერისთავად იხსენიება. როდის შეიძლება დაეკარგა ლიპარიტ V ბაღვაშს ეს ტიტული? როგორც ცნობილია, 1092 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქშაჰი გარდაიცვალა. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა ამ გარემოებით ისარგებლა და ურჩ ფეოდალს - ლიპარიტს რანთა მეფის ტიტული ჩამოართვა. ერთი მხრივ, ვითვალისწინებთ რა 1075 წელს თურქ-სელჩუკების მიერ შედადიანთა სამეფოს გაუქმებას, ხოლო, მეორე მხრივ, 1092 წლის ახლო ხანებში დავით IV აღმაშენებლის მიერ ლიპარიტისათვის რანთა მეფის ტიტულის ჩამორთმევას, საფიქრებელია, რომ ლიპარიტ V ბაღვაში რანთა მეფის ტიტულს 1075-1092 წლებში ფლობდა. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ლიპარიტ V ბაღვაში რანთა მეფის ტიტულს 1075 წლამდეც ატარებდა.

V. ლიპარიტ V ბაღვაშის დღემდე უცნობი სამხედრო ოპერაცია სკვირეთის ხეობაში თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ და ტერმინი „თურქნი“ ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში

კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერაში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ თრიალეთის ერისთავთ ერისთავსა და რანთა მეფეს ლიპარიტ V-ს ეკლესია აშენება დაუმთავრებია მაშინ, როდესაც მას თურქნი სკვირეთის ხეობაში დაუხოცავს: **„გ(ა)სრ(ულ)დ(ა) მ{ა}ს ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავ) ლ(ი)პ(არი)ტ, ე{რისთავთ} ე{რისთავ} ი(ო)ვ(ანე)ს | ძე(მა)ნ თუ(რ)ქ(ნ)ი დ(ა)ჴ(ო)ცა სკუ(ირე)თს. მე{ო}ხ ეყ{ა}ვ, წ(მიდა)ო ეკ(ლესია)ო, მზ(ე)გ(რძელობი)ს(ა) მ(ის)თ(უი)ს“.**

აქამდე ცნობილი ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლები არაფერს არ ამბობენ სკვირეთის ხეობაში ლიპარიტ V ბაღვაშის მიერ თურქ-სელჩუკთა დახოცვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად შენიშნავს ისტორიკოსი გოჩა ჯაფარიძე „უაღრესად მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ

პირობებში გიორგი II-მ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. 1083 წ. ის მორჩილების ნიშნად ისფაჰანში ეახლა მალიქ-შაჰს და მისი კეთილ-განწყობა მოიპოვა ყოველწლიური ხარკით ... ქართული და აღმოსავლური წყაროები 1083 წლიდან მალიქ-შაჰის სიკვდილამდე (1092 წ.) და ამის შემდეგაც დიდ ხანს სელჩუკთა რაიმე ორგანიზებულ ლაშქრობას საქართველოში არ იცნობენ. მაგრამ სულტანს არ შეეძლო და, ალბათ, არც სურდა, რომ აღეკვეთა საქართველოში მომთაბარე თურქმენთა თარეში. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებში, რომ დავითის გამეფების ჟამს „მოოჴრებულ იყო ქართლი და თჳნიერ ციხეთა სადამდე არასადა იყო სოფელსა შინა კაცი, არცარა შენებულებაჲ“ [ჯაფარიძე, 1995: 11-12]. 1083 წლის შემდეგ რომ არ შეწყვეტილა თურქ-სელჩუკების თარეში საქართველოში, ამას თვალნათლივ აჩვენებს კლდეისის ეკლესიის ახლადგამოვლენილი სააღმშენებლო წარწერა, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული თრიალეთის ერისთავთ ერისთავ ლიპარიტ V ბაღვაში მიერ სკვირეთის ხეობაში თურქთა დახოცვის ამბავი.

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, რომ ლიპარიტ V ბაღვაში რანთა მეფის ტიტულს 1075-1092 წლებში ფლობდა, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, როდის დასრულდა კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის მშენებლობა და შესაბამისას, თრიალეთის ერისთავის იოვანეს ძის, ასევე თრიალეთის ერისთავთ ერისთავ ლიპარიტის მიერ სკვირეთის ხეობაში თურქ-სელჩუკების დახოცვის ამბავი. ჩვენი აზრით, ლიპარიტის მიერ ეკლესიის დასრულება და მის მიერ სკვირეთის ხეობაში თურქთა დახოცვის ამბავი უნდა მომხდარიყო 1092-1094/1095 წლებში. როგორც ცნობილია, „სკვირეთი – ძველი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული – ხევი, რომელიც სამშვილდის საერისთავოში შედიოდა და მას ჩრდილოეთიდან საზღვრავდა“ [მუსხელიშვილი, 1985: 419]. როგორც ჩანს, თურქთ-სელჩუკთა მიერ ჩატარებული არაერთი სამხედრო ექსპედიციისას ლიპარიტ V ბაღვაში იცავს თავის სამფლობელოს და როგორც წარწერიდან ვიგებთ ამარცხებს კიდეც მათ სკვირეთის ხეობაში. წარწერის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1078-1094/1095 წლებში ლიპარიტ V სამშვილდეს ფლობს და იცავს მის კუთვნილ ტერიტორიას დაპყრობლებისაგან.

ტერმინი „თურქნი“ ქართლის ცხოვრების ქრონიკებსა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში არაერთგზის იხსენიება, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. ჩვენთვის საინტერესო წარწერაში თურქ-სელჩუკთა აღმნიშვნელ ტერმინად „თურქნი“ გამოიყენება. ამ კუთხის მნიშნელოვანია 1064 წლის მირაშხანისა და 1066 წლის თრეხვის ქვაბების წარწერები, სადაც ალფ-არსლანის შემოსევებზეა საუბარი. მირაშხანის წარწერის ტექსტი შემდეგი სახით იკითხება: *„ϯ. ქ. ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრ)თი(საჲ)თა. მე, გ(იორგ)[ა] ხ(უ)ც(ეს)მ(ა)ნ დავწ[ერე] მ(ა)ს ჟამს, ოდეს გას მოვიდ[ა] [...] ხ(ო)რ(ა)ს(ა)ნი ქ(ა)ლ(ა)ქ(ი)თ. ϩ მე, გ(იორგ)აჲ ფ(რია)დ ც(ო)დ(ვილ)ს. მეწიფა მოვიდა ϫ(ავა)ხ(ეთ)ს და შეჰრისხ[ა] [ყ](ოვე)ლი ყ(ოვე)ლს ქ(რის)ტ(ე)სდა. მეტ(ა)დ ახ(ა)ლქ(ა)ლ(აქი)[თ] წაიღო. ას[წყ]უიდა და ტ(ყუე)დ წაი[ღო]. ყ(ოვე)ლი მესხი აზ(ნაუ)რი შ(ი)გ(ა)ნ დგა. ფ(არ)ს(მა)ნ პირ-ექ[მ]ნ[ა] მ(ე)ფ(ე)ს. მოკ(ლე)ს და ყ(ოვე)ლი ასწ(ყუი)დ(ე)ს უ(ფალ)ო, შეუნდვენ გოჰ(ა)რის ცო[დვ]ან[ი], [ა](მე)ნ; და მირაშხნელ[თა] ყ(ოვე)ლთა შეუნდვენ. უ(ფალ)ო, ა(მე)ნ; [მეცა], ფ(რია)დ ცოდ[ვი]ლი მომიჴსე[ნეთ]“* [ჯავახეთის, 2012: 94]. 1066 წლის ლეონტი მროველის სააღმშენებლო წარწერაში ვკითხულობთ: *„მე,*

ლ(ეო)ნტი მრ(ოვე)ლმ(ა)ნ დიდ(ი)თა მოჭირვებ(ი)თა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათჳს ღ(მრ)თ(ეე)ბ(ი)სა და დღესა ჭირის(ა)სა ნავთსაყუდელ(ა)დ რუის(ი)სა საყდრისა შვილთ(ა)თ(ჳ)ს ჟ(ა)მთა შ(ინ)ა ალფარსალან სულტანის(ა)გ(ა)ნ ოხრობის(ა)თა ქრ(ონი)კ(ონ)სა სჰვ (1066 წ.)"[გაფრინდაშვილი, 1961: 247].

მართალია, მირაშხანისა და თრეხვის ქვაბების წარწერებში ალფარსლანის შემოსევებზეა საუბარი, თუმცა ტერმინი „თურქნი" ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ახლადგამოვლენილ წარწერამ შემოგვინახა, რაც ჩვენთვის საინტერესო წარწერის უნიკალურობასა და მნიშვნელობას კიდევ ერთხე უსვამს ხაზს და გახლავთ კიდევ ერთი უცნობი ფურცელი საქართველოსა და თურქ-სელჩუკთა იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებში.

VI. თრიალეთის ერისთავთ ერისთავისა და რანთ მეფის – ლიპარიტ V ბაღვაშის მიერ კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის აღდგენა და საალმშენებლო წარწერის დათარიღება

კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერაში საუბარია ლიპარიტ V ბაღვაშის მიერ ეკლესიის გასრულებაზე, რომლის საძირკველიც დაშლილი იყო: **„ამ(ი)ს ეკლესი{ი}სა საძ{ი}რკ{უე}ლი დად{ებუ}ლი იყო | მას ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავი) ლ{ი}პ{არი}ტ რანთ მ{ე}ფე იყო. გ(ა)სრ(ულ)დ(ა) მ{ა}ს ჟ(ა)მ(ს)ა, ოდ{ე}ს ე(რისთავთ) ე(რისთავ) ლ(ი)პ(არი)ტ, ე{რისთავთ} ე{რისთავ} ი(ო)ვ(ანე)ს | ძე(მა)ნ თუ(რ)ქ(ნ)ი დ(ა)Წ(ო)ცა სკუ(ირე)თს".** აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს 1088/1089 წლებში მომხდარი დიდი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრს მთელი აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენდა. „XI საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი ძლიერის მიწისძვრის შესახებ დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ისტორიკოსი, რომელიც თვითმხილველია და კატასტროფას, სავარაუდოდ, ჯავახეთში შეესწრო, მოგვითხრობს, რომ დავითის გამეფებამდე ცოტა ხნით ადრე მიწისძვრამ მრავალი სული იმსხვერპლა და „საშინელი" რყევები წლის ბოლომდე გაგრძელდა. აღდგომა დღეს მომხდარი მიწისძვრისას მაღალი მთები და კლდეები მტვრად იქცა, ქალაქები, სოფლები და იქ მდგარი ეკლესიები დაინგრა" [კლდიაშვილი, 2023: 99].

ჩვენი აზრით, თმოგვის ციხე-სიმაგრის, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის, ალავერდის საკათედრო ტაძრისა და სხვა ეკლესია-მონასტრების მსგავსად, კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიაც 1088/1089 წლების მიწისძვრის შედეგად საფუძვლამდე დაინგრა. საფუძვლამდე დანგრეული ეკლესიის მშენებლობა 1088/1089 წლებში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შემდეგ ერისთავთ ერისთავსა და რანთა მეფეს, ლიპარიტ V ბაღვაშს დაუწყია. ვითვალისწინებთ რა აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარ მიწისძვრას, ეკლესიის განახლების დაწყების ქვედა ზღვრად სწორედ 1088/1089 წლებს მივიჩნევთ, ხოლო, რაც შეეხება ეკლესიის განახლების დასრულების ზედა ზღვარს, აქ გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი: ლიპარიტ ბაღვაში ჩვენთვის საინტერესო წარწერაში ტაძრის დასრულების დროს მხოლოდდამხოლოდ თრიალეთის ერისთავთ ერისთავად იხსენიება. მხედველობაში ვიღებთ რა 1092 წელს დავით

აღმაშენებლის მიერ ლიპარიტ V ბაღვაშისათვის რანთა მეფის ტუტულის ჩამორთმევასა და მის მიერ ლიპარიტის ხელმეორედ შეპყრობის თარიღს – 1094/1095 წელს, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლიპარიტ V ბაღვაში მიერ კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის აღდგენის დასრულებასა და ლაპიდარული წარწერის შედგენას 1092-1094/1095 წლებით ვათარიღებთ. სწორედ მეფესა და ფეოდალს შორის დაძაბულ ურთიერთობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესიის ახლადგამოვლენილ ლაპიდარულ წარწერაში საქართველოს მეფის მოუხსენიებლობა, სადაც უზენაესი თრიალეთის ერისთავთ ერისთავი და რანთა მეფე - ლიპარიტ V ბაღვაშია.

II. XI-XII სს. კჳრიკე და სულა ვაჩეს ძეების//ვაჩინასძეების წარწერის ფრაგმენტი

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთი მინაშენის წინ მდებარე ნაცრისფერ ქვაზე; წარწერიანი ქვის ზომები: 20 X 90 სმ.; წარწერის ფართობი: 18 X 80 სმ.; 2 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: հ (I სტრიქონის VII გრაფემა) – 10 X 3,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: ն (II სტრიქონის III გრაფემა) – 4,8 X 3,5 სმ.; ქარაგმის ნიშნები: გრძელი განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშNნები არ ახლავს.

დაზიანება: წარწერა თავ-ბოლონაკლულია. გარდა ამისა, წარწერა ადგილ-ადგილ ამოტეხილია, რის გამოც მთელი რიგი გრაფემები ან საერთოდ არ იკითხება ან ფრაგმენტულად იკითხება. აქედან გამომდინარე, დაზიანებული ადგილები აღდგენილი გვაქვს შემორჩენილი გრაფემებისა და წარწერის კონტექსტის მიხედვით.

წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XI-XII საუკუნეებით ვათარიღებთ.



1. …ԿՂ ՍԶՇ ԴՀՍ ԺՆ …
2. ՐՀ՝…Կ՝Ն

„…კ(ჳრიკ)ე, ს(უ)ლა ვ(ა)ჩ(ე)ს ძ(ი)ს[ათუის] //ვ(ა)ჩ(ინა)ს ძ(ი)ს[ათუის] | ნ(?) …კ՝Ն (?)“.

III. X-XI სს. გიორგის საველრებელი წარწერა

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სარკმლის ჩრდილოეთით; 1 სტრიქონი; ასომთავრული; ქარაგმის ნიშნები: გრძელი განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.

წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, X-XI საუკუნეებით ვათარიღებთ.



„ქ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი“.

აღნიშნული წარწერების გარდა სამხრეთი კარნიზის ქვებზე კიდევ განირჩევა X-XI საუკუნეების კიდევ ორი სავედრებელი წარწერა, რომლებიც ფრაგმენტულად იკითხება: **„უფალო, განუსუენე ...ისა (?)“; „უფალო გ[ანუსუენე]...ო (?)“.** სამწუხაროდ, წარწერათა ფრაგმენტულობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება დადგენა იმ პირებისა, ვისი სულის მეოხებაზეცაა საუბარი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ალექსიძე, ზ. (2011). ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო, *ანალები,* ტ. 7, თბილისი: უნივერსალი.

ალექსიძე, ზ. (2016). ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო ბალატუნუსის ბილინგვა, კრებ.: *ზაზა ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი,* ტ.3, თბილისი.

ბაქრაძე, ა. (1959). თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B,* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბახტაძე, მ. (2003). *ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში,* თბილისი: არტანუჯი.

ბერძენიშვილი, დ. (1982). თრიალეთის უცნობი წარწერები, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული,* ტ. VI, თბილისი: მეცნიერება.

ბერძენიშვილი, ნ. (2007). *ათონის ივერთა მონასტრის აღაპები,* თბილისი: ახალი ივირონი.

ბოჭორიძე, გ. (1930). რაჭის ისტორიული ძეგლები, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* ტ. V, ტფილისი.

გაფრინდაშვილი, გ. (1961). ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქვაბებიდან, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე,* თბილისი.

გოგოლაძე, თ. (2023). *ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი (თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი),* წარწერების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თამაზ გოგოლაძემ, თბილისი: ნათლისმცემელი.

ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი. (1984). *ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს.,* შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილი, თბილისი: მეცნიერება.

ზაქარაია, პ. (1978). დიდი კლდეისი, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,* ტ. 3, თბილისი: მეცნიერება.

თოფურია, პ. (1975). *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში,* თბილისი: მეცნიერება.

კაკაბაძე, ს. (1929), ნიკორწმინდის ისტორიული ძეგლის წარწერები, *საისტორიო კრებული,* ტ. IV, ტფილისი.

კლდიაშვილი, დ. (2017). ივანე ბაღვაში, *ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში), (ენციკლოპედიური ლექსიკონი*), თბილისი: სეზანი.

კლდიაშვილი, დ. (2023). *მიწისძვრები საქართველოში ქართული საისტორიო წყაროები IV-XVIII სს.,* თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

კოპალიანი, ვ. (1949), *კლდეკარის საერისთავო,* ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

კოპალიანი, ვ. (1969). საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთერთობა 970-1070 წლებში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლორთქიფანიძე, მ. (1979). საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII საუკუნის მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მატიანე ქართლისაჲ (2008). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ, *ქართლის ცხოვრება,* თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი.

მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1959). შანშა-შარვანშა, *თსუ შრომები,* ტ. 73, თბილისი.

მეტრეველი, ე. (1986), *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II 1,* შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა ელენე მეტრეველის რედაქციით, თბილისი: მეცნიერება.

მეტრეველი, ე. (1998). ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბილისი: სკოლა.

მეტრეველი, რ. (1973). *შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში,* თბილისი: მეცნიერება.

მეტრეველი, რ. (1980). ივანე ლიპარიტის ძე, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,* ტ.5, თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

მეტრეველი (1983), ლიპარიტ V ბაღვაში, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,* ტ.6, თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

მეტრეველი, რ., სამუშია, ჯ. (2003). მეფეთ მეფე გიორგი II, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მუსხელიშვილი, დ. (1985). სკვირეთი, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,* ტ. 9, თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

პაპუაშვილი, თ. (1982). *რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.),* თბილისი: მეცნიერება.

სილოგავა, ვ. (2001). ბაღვაშთა ფეოდალური სახლის მემორიალური წიგნები და მათი ანდერძ-მოსახსენებლები, კრებული: *Dedicatio ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი,* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სტეფნაძე, ჯ. (1976). XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის, *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან,* თბილისი: მეცნიერება.

ფაღავა, ი. (2020), *სამგანზომილებაში მოღვაწენი: კახეთისა და კახეთ-ჰერეთის მონარქთა წოდებულება,* ქრონოსი, ტ. 1, თბილისი: პრინტჯეო.

ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი, ტ. I, დმანისის რაიონი V-XVIII სს., თბილისი: გამომცემლობა მითითებული არ არის.

ქუთათელაძე, ქ. (2001). *ქვემო ქართლი: პოლიტიკური ისტორიის საკითხები,* თბილისი: მთაწმინდელი.

შენგელია, ნ. (1968). *სელჩუკები და საქართველო,* თბილისი: მეცნიერება.

ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი. (2008). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ, *ქართლის ცხოვრება,* თბილისი: მერიდიანი, არტანუჯი.

ჯავახეთის… (2012). *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი.* გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს: † ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა. თბილისი: ნეკერი.

ჯავახიშვილი, ივ. (1983). *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. II, თბილისი: მეცნიერება.

ჯაფარიძე, გ. (1995). *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში,* თბილისი: მეცნიერება.

Какабадзе, С. (1926). Грамота грузинского царя Георгия III, *Известия КИАИ*, Тбилиси.

REFERENCES

aleksidze, z. (2011). bizant'iis imp'eriis utsnobi kartveli didi mokhele da misi sagvareulo, analebi, t'. 7, *[An unknown Georgian Highly ranked official of the Bizantine Empire and his Family]*, Tbilisi: Publishing House "Universali".

aleksidze, z. (2016). bizant'iis imp'eriis utsnobi kartveli didi mokhele da misi sagvareulo balat'unusis bilingva, k'reb.: zaza aleksidze, krist'ianuli k'avk'asia ist'oriul-pilologiuri dziebani, t'.3, *[An unknown Georgian Highly ranked official of the Bizantine Empire and his Family, The bilingualism of Balanthus]*, Tbilisi.

bakradze, a. (1959). trialetisa da at'enis ep'igrapik'uli dzeglebi rogorts ist'oriuli ts'qaro, sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe, t'. XX-B, *[Epigraphic monuments of Trialeti and Ateni as a historical source]*, Tbilisi: Publishing House "Sakartvelos Metsnierebata Akademiis Gamomtsemloba".

bakht'adze, m. (2003). eristavobis inst'it'ut'i sakartveloshi, *[Institute of Eristavi in Georgia]*, Tbilisi: Publishing House "Artanuji".

berdzenishvili, d. (1982). trialetis utsnobi ts'arts'erebi, sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli, *[Unknown inscriptions of Trialeti]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

berdzenishvili, n. (2007). atonis iverta monast'ris aghap'ebi, *[Agapes of Iverta Monastery of Athos]*, Tbilisi: Publishing House "Akhali Ivironi".

boch'oridze, g. (1930). rach'is ist'oriuli dzeglebi, sakartvelos sakhelmts'ipo muzeumis moambe, t'. V, *[Historical Monuments of Racha]*, Tbilisi.

gaprindashvili, g. (1961). leont'i mrovelis 1066 ts'. samsheneblo ts'arts'era trekhvis kvabebidan, sakartvelos metsnierebata ak'ademiis moambe, *[Leonti Mroveli's 1066 construction inscription from Trekhvi boilers]*, Tbilisi.

gogoladze, t. (2023). kvemo kartlis ep'igrapik'uli k'orp'usi (tetrits'qaro, marneuli, bolnisi), ts'arts'erebis t'ekst'ebi gamosatsemad moamzada, gamok'vleva da sadzieblebi daurto tamaz gogoladzem, *[Epigraphic Corpus of Kvemo Kartli (Tetritskaro, Marneuli, Bolnisi)]*, Tbilisi: Publishing House "Natlismtsemeli".

enukidze, silogava, shoshiashvili. (1984), kartuli ist'oriuli sabutebi IX-XIII ss., sheadgines da gamosatsemad moamzades t. enukidzem, v. silogavam, n. shoshiashvili, *[Georgian historical documents in the IX-XIII centuries]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

japaridze, g. (1995). sakartvelo da makhlobeli aghmosavletis islamuri samqaro XII-XIII s-is p'irvel mesamedshi, *[Georgia and the Islamic world of the Middle East in the first third of the XII-XIII centuries]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

javakhetis (2012). javakhetis ep'igrapik'uli k'orp'usi, gamosatsemad moamzades da gamok'vlevebi daurtes: q valeri silogavam, lia akhaladzem, merab beridzem, nest'an sulavam da roin qavrelishvilma, *[Epigraphic corpus of Javakheti]*, Tbilisi: Publishing House "Nekeri".

javakhishvili, iv. (1983). tkhzulebani tormet' t'omad, t'. II, *[Works in twelve volume]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

k'ak'abadze, s. (1929), nik'orts'mindis ist'oriuli dzeglis ts'arts'erebi, saist'orio k'rebuli, t'. IV, *[Inscriptions of the historical monument of Nikortsminda]*, Tbilisi.

k'ldiashvili, d. (2017). amirejibi, tsent'raluri da adgilobrivi samokheleo ts'qoba shua sauk'uneebis sakartveloshi), (entsik'lop'ediuri leksik'oni). *[Central and local official order in medieval Georgia : Encyclopedic dictionary]*. Tbilisi: Publishing House "Sezani".

k'ldiashvili, d. (2023). mits'isdzvrebi sakartveloshi kartuli saist'orio ts'qaroebi IV-XVIII ss., *[Earthquakes in Georgia Georgian historical sources IV-XVIII centuries]*, Tbilisi.

k'op'aliani, v. (1949). k'ldek'aris saeristavo, ist'oriul metsnierebata k'andidat'is sametsniero khariskhis mosap'oveblad, *[Saeristavo of Kldekari]*, Tbilisi.

k'op'aliani, v. (1969). sakartvelosa da bizant'iis p'olit'ik'uri urtertoba 970-1070 ts'lebshi, *[Relations between Georgia and Byzantium in 970-1070]*, Tbilisi: Publishing House "Tbilisis Universitetis Gamomtsemloba".

kutateladze, k. (2001). kvemo kartli: p'olit'ik'uri ist'oriis sak'itkhebi, [Political history issues of Kvemo Kartli], Tbilisi: Publishing House "Mtatsmindeli".

kvemo kartlis ep'igrapik'uli k'orp'usi, t'. I, dmanisis raioni V-XVIII ss., *[Epigraphic corpus of Kvemo Kartli]*, Tbilisi.

lortkipanidze, m. (1979). sakartvelos sagareo da shinap'olit'ik'uri vitareba XII sauk'unis meore meotkhedidan 80-iani ts'lebis dasats'qisamde, sakartvelos ist'oriis nark'vevebi, t'. III, [The foreign and domestic political situation of Georgia from the second quarter of the 12th century to the 1080s], Tbilisi: Publishing House "Sabchota Sakartvelo".

mat'iane kartlisaω (2008). t'ekst'i gamosatsemad moamzada ak'ademik'osma mariam lortkipanidzem, kartlis tskhovreba, *[History of Kartli]*, Tbilisi: Publishing House "Meridiani, Artanuji".

melikset-begi, l. (1959). shansha-sharvansha, tsu shromebi, t'. 73, *[Shahansha and Sharvansha]*, Tbilisi.

met'reveli, e. (1986). kartul khelnats'erta aghts'eriloba, qopili saek'lesio muzeumis (A) k'olektsiisa, t'. II 1, sheadgines da dasabech'dad moamzades: t. bregadzem, ts. k'akhabrishvilma, m. kavtariam, l. kutateladzem, ts. ch'ank'ievma, l. khevsurianma elene met'revelis redaktsiit, *[Description of Georgian manuscripts]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

met'reveli, e. (1998). atonis kartvelta monast'ris saaghap'e ts'igni, *[Book of fables of the Georgian Monastery of Athos]*, Tbilisi: Publishing House "Skola".

met'reveli, r. (1973). shinak'lasobrivi brdzola peodalur sakartveloshi, *[Intra-class struggle in feudal Georgia]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

met'reveli, r. (1980) ivane lip'arit'is dze, kartuli sabch'ota entsik'lop'edia, t'.5, *[Ivane Liparit's son]*, Tbilisi.

met'reveli (1983). lip'arit' V baghvashi, kartuli sabch'ota entsik'lop'edia, t'.6, [Liparit V Baghvashi] Tbilisi.

met'reveli, r., samushia, j. (2003). mepet mepe giorgi II, *[King George II]*, Tbilisi: Publishing House "Tbilisis Universitetis Gamomtsemloba".

muskhelishvili, d. (1985). sk'vireti, kartuli sabch'ota entsik'lop'edia, t'. 9, *[Skvireti]*, Tbilisi.

paghava, i. (2020). samganzomilebashi moghvats'eni: k'akhetisa da k'akhet-heretis monarkta ts'odebuleba, kronosi, t'. 1, *[Acting in Three Dimensions: the Titulary of Kakheti and Kakhet-Hereti Monarchs]*, Tbilisi: Publishing House "Printjeo".

p'ap'uashvili, t. (1982). ranta da k'akhta samepo (VIII-XI ss.), *[Kingdom of Ranta and Kakhta]*, Tbilisi: Publishing House "Metsniereba".

silogava, v. (2001). baghvashta peodaluri sakhlis memorialuri ts'ignebi da mati anderdz-mosakhseneblebi, k'rebuli: Dedicatio ist'oriul-pilologiuri dziebani, *[Feudal memorial books of Bagvashi and their Testament-Colophons]*, Tbilisi: Publishing House "Tbilisis Universitetis Gamomtsemloba".

shengelia, n. (1968). selchuk'ebi da sakartvelo, *[Seljuks and Georgia]*, Tbilisi: Publishing House “Metsniereba”.

st'epnadze, j. (1976), XI-XII sauk'uneebis sakartvelos mepeta t'it'ulebis gagebisatvis, dziebani sakartvelosa da k'avk'asiis ist'oriidan, *[To understand the titles of Georgian kings of XI-XII centuries]*, Tbilisi: Publishing House “Metsniereba”.

topuria, p'. (1975). aghmosavlet amierk'avk'asiis p'olit'ik'uri erteulebi XI-XII sauk'uneebshi, *[Political entities of Eastern Transcaucasia in XI-XII centuries]*, Tbilisi: Publishing House “Metsniereba”.

tskhovrebaω mepet-mepisa davitisi. (2008). t'ekst'i gamosatsemad moamzada ak'ademik'osma mzekala shanidzem, kartlis tskhovreba, *[The life of King David]*, Tbilisi: Publishing House “Meridiani, Artanuji”.

zakaraia, p'. (1978). didi k'ldeisi, kartuli sabch'ota entsik'lop'edia, t'. 3, *[Didi Kldeisi]*, Tbilisi: Publishing House “Metsniereba”.

Какабадзе, С. (1926). Грамота грузинского царя Георгия III, Известия КИАИ , Тбилиси.

სურ. 1 კლდეისის ღმრთისმშობლის ეკლესია

Fig. 1 Church of the Mother of God of Kldeisi

სურ. 2 1092-1094/1095 წწ. თრიალეთის ერისთავთ ერისთავისა და რანთა მეფის, ლიპარიტ V ბაღვაშის სააღმშენებლო წარწერა
Fig. 2 1092-1094/1095 Construction inscription of Eristav Eristavi of Trialeti and King of Ranta, Liparit V Bagvashi



სურ.3 XI-XII სს. კვრიკე და სულა ვაჩეს ძეების //ვაჩინასძეების წარწერის ფრაგმენტი

Fig.3 XI-XII centuries. Fragment of the inscription of the sons of Kvirike and Sula Vache//Vachinasdze

სურ. 4. X-XI სს. გიორგის სავედრებელი წარწერა
Fig. 4 X-XI centuries. George's supplication inscription